ცნობის ფურცელი

№ 1913 ორშაბათი, 2 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1913

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. **ტელეფონი № 372.**

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

1-ლ სექტემბრიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **2** მან. და **60** კაპ,

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა **№** 25. ქმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—5)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების" ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика. (0—16)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—53)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ, მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ვ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, **№ 21.** (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა **№** 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, **№** 38. (წლ.)

არტისტობის მსურველთა საყურადღებოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა წელს აპირებს **გამოსაცდელ წარმოდგენების გამართვას**; ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება ვისაცა ჰსურს, უნდა განაცხადოს თეატრის კანტორაში დილის 10—12 საათამდის. (3—3)

ბებია

პ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, **№** 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—33)

1 ენკენისთვიდან «**ქ. ოზურგეთში**» გაიხსნა **ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიული კურსით.** თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტაძის სახლში. (6. 10—1).

ახალი ამბავი

✦ ტფილისის ოლქის **სასამართლოს სესსია** ამ სექტემბერს შეუდგება საქმეების განხილვას თიანეთისა, სიღნაღისა და თელავის მაზრებში. თიანეთში სესსია საქმეს შეუდგება 3 სექტებერს; სიღნაღში 10-ს და დაჰყოფს იქ 20 სექტემბრამდე, ხოლო თელავში—24-დან 30 სექტემბრამდე.

✦ როგორც **ყვარელიდან** (კახეთიდან) გვატყობინებენ, ვენახებს იქ ძალიან კარგად ასხია თურმე. იმედი აქვთ, რომ წელს ღვინის კარგი მოსავალი იქმნება.

სტიპენდიების დანიშვნის გამო

(წერილი ქუთაისიდან)

როგორც „ცნობის ფურცლის" 29 აგვისტოს ნომრიდან დაინახავდა მკითხველი, თავად-აზნაურთა კრების მიერ ამორჩეულ კომისიას ყველაზე უმჯობესად უცვნია, რომ უმაღლესად ნაბოძები 20,000 მანეთი მოხმარდეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილებისთვის სტიპენდიების დაარსებას, ე. ი. ყველაზე უმჯობესად უცვნია ის, რაც ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა და თავად-აზნაურთა კრებამ ნაკლებად სასარგებლოდ სცნო.

მე მგონია, ვერავინ იტყვის იმის უარს, რომ სტიპენდიების სამართლიანად განაწილება ძლიერ ძნელი, თითქმის მოუხერხებელია; ვერც იმას იტყვის კაცი—თუ, რასაკვირველია, „გულზე ხელს დაიდებს",—რომ სტიპენდიებით, უმეტეს ნაწილად მაინც, ნამდვილ ღარიბებმა ისარგებლონ. სტიპენდიების შოვნას, როგორც ყველას კარგად მოეხსენება, უნდა დევნა, წასვლა-წამოსვლა, რასაც, რასაკვირველია, ხარჯი სჭირდება. ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს: საჭიროა **პროტექცია**, ურომლისოდაც—ვსთქვათ გულახდილად—სტიპენდიის კი არა, სოფლის მამასახლისის უბრალო მოწმობის აღებაც გასაჭირია ამ ჩვენს დალოცვილს დროში! მერე როგორ გნებავთ, ბატონებო, რომ ქუთაისზე დაშორებულმა, სადღაც ღრე კლდეებში ჩამალულმა ჩვენმა თავად-აზნაურობამ, რომელიც წელიწადში ორჯელ არ ჩამოვა ქუთაისში, იშოვნოს სტიპენდია თავის შვილებისათვის?

კიდევ ვიტყვი, სტიპენდიებით ისარგებლებენ უმეტეს ნაწილად მაინც შედარებით მდიდრები, რომელთაც მამიდა, დეიდა, ბიცოლა, ბიძია, ნათლია და სხვა პატივსაცემი პირნი ჰყავთ, და არა ნამდვილი ღარიბები, რომელნიც ამგვარ ბედნიერებას მოკლებულნი არიან. დავანებოთ თავი პროტექციის დიდ მნიშვნელობას: სტიპენდიის შოვნას ხომ თხოვნა, სიღარიბის მოწმობა და სხვა მრავალგვარი საბუთი მაინცა სჭირდება; ამასაც ხომ მოხერხება უნდა; მოახერხებს კი უფრო ადვილად ის, ვინც უფრო გამბედავი და შეძლებულია. ვინც მორცხვი და გაუბედავია, ესე იგი ნამდვილად ღარიბი, ის თავისს გასაჭირს კაცს ვერ გააგებინებს და მუდამ ისე გარიყული დარჩება სტიპენდიის მიღებაშიაც, როგორც სხვა საქმეებში. თუ გულწრფელად ვილაპარაკებთ, აქ გადამეტებული არაფერია, ყველაფერი სიმართლეა.

მაგრამ, თუ საჭიროა, ამასაც თავი დავანებოთ. ათასში ერთი მაგალითი თუ მოხდება—მე კი ჩემის მხრით ერთსაც ვერ დავასახელებ,—რომ ყმაწვილმა გიმნაზია გაათავოს და სიღარიბის გამო უმაღლეს სასწავლებელში ვერ წავიდეს. მე იმას არ ვიტყვი რომ მას ეადვილებოდეს იქ წასვლა, მაგრამ ასეა, თუ ისე, მაინც მიდის და გაჭირვებით თუ დალხინებით მაინც ათავებს სწავლას. ამბობენ, ჩვენი სტუდენტები უნივერსიტეტში ძლიერ გაჭირვებულად ცხოვრობენ, და ამ გარემოებას ძლიერ მავნებელი გავლენა აქვს ყმაწვილის როგორც გონებრივს, ისე ფიზიკურს მხარეზეო. სრულიად თანახმა ვარ, რომ ბევრი ჩვენი ნიჭიერი ყმაწვილი მუდამ ებრძვის სიღარიბეს, ვერ უძლებს რუსეთის ცივს ჰავას, ჰლექიანდება და უდროვოდ ესალმება წუთი-სოფელს; მაგრამ რუსეთის ჰავა არც მდიდრებს უწევს მაინცა-და-მაინც ნამდვილ დედობას? ამით მე სრულიად არ მინდა ვსთქვა სტუდენტებს დახმარება არ უნდა-მეთქი; რასაკვირველია, უნდა, მაგრამ დახმარება უნდა ნამდვილად ღარიბებს და არა მდიდრებს. ჩვენ კი თითქმის სრულიად წინააღმდეგს ვშვრებით: ღარიბს ვაკლებთ და მდიდრებს ვუმატებთ.

ამის შემდეგ სწორედ აღარ ვიცი, რით ხელმძღვანელობდა ჩვენი პატივცემული კომისია, რომ სტიპენდიების დაარსება ყველაფერს ამჯობინა! ჩემის აზრით, რა ტიპის სასწავლებელიც უნდა დავაარსოთ, სტიპენდიების დაწესებას მაინც აჯობებს. დავაარსოთ, ბატონებო, მაგალითად, ერთი საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, რომ რაღაც ორი მტკაველი მიწა დაგვრჩენია, ის მაინც შევირჩინოთ და მთლად არ ალგვიგავოთ პირისაგან ქვეყანისა. თუ ყოველ-წლიური 20,000 მანეთი არ გვეყოფა ამისათვის, ცოტა რამ კიდევ ჩვენის ჯიბიდან დავუმატოთ.

თუ ეს არ გვინდა, ჩვენს ქალებს დავუარსოთ ერთი სასწავლებელი, რომ იმდენად მაინც განვითარდნენ, რომ შვილები მოამზადონ სასწავლებელში შესაყვანად. ან პირველ დაწყებითი სკოლები გავხსნათ მაზრებში, რომ წერა-კითხვა და ანგარიში შევასწავლოთ ბავშებს, რომელთაგან ნახევარი სრულიად უსწავლელი რჩება, რომ რაიმე საქმეს მოჰკიდონ ხელი. ძლიერ გადამეტებული და შემცდარია ის აზრი, ვითომც პირველ დაწყებით სწავლას სარგებლობის ნაცვლად ზარალი მოჰქონდეს. ან და დასასრულ, ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლას გავუჩინოთ ერთი თავშესაფარი, გადავაკეთოთ რვა კლასიანად და სამეურნეო განყოფილებაც მივუმატოთ.

ერთი სიტყვით, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი სკოლები გვქონდეს, რომ მეტი მცოდნე კაცი გვყვანდეს—წერა-კითხვის მცოდნე მაინც,—რომ გავრცელდეს სწავლა-განათლების საჭიროების შეგნება და მისადმი წყურვილი, და თუ ეს იქმნა, მაშინ ყველაფერს მოვახერხებთ.

მაგრამ ყველაფერს თავი დავანებოთ. ვსთქვათ, დავეთანხმეთ სტიპენდიების დაარსებას (თუმცა ვიტყვი ფრჩხილებში—პირადათ მე ვერასოდეს ვერ დავეთანხმები); მაშინ, ჩემის აზრით, კომისიის მიერ შემუშავებულ წესდებას კარგა ღონივრად დასჭირდება შალაშინის გაკვრა, რასაც, იმედია თავად-აზნაურთა კრება არ დაიზარებს. აქ მხოლოდ ორიოდე მუხლს შევეხებით სანიმუშოდ. წესდების მეორე მუხლში ნათქვამია, რომ სტიპენდიები მიეცემათ ქუთაისის გუბერნიის **შთამომავლობით თავად-აზნაურთა** შვილებს **რუსეთის იმპერიის** უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებშიო. რატომ არა შთამომავლობით თავად-აზნაურთა შვილებსაც არ უნდა მიეცეთ სტიპენდია? იმათ რაღა დააშავეს? ან, რატომ საზღვარ-გარეთ მოსწავლე ახალგაზრდობამაც არ უნდა ისარგებლოს? ვინც საზღვარ-გარეთ მიდის სწავლისათვის, სწორედ იმისთვის უფრო საჭიროა სტიპენდიის მიცემა, ვიდრე რუსეთში მიმავალთათვის: უკანასკნელთ სხვა დახმარებასაც უწევს საზოგადოება, მათ რუსეთში ერთმანეთის დამხმარე წრეებიცა აქვთ, გაკვეთილებსაც შოულობენ; საზღვარ-გარეთ მყოფი მოსწავლენი-კი ყველა ამას მოკლებულნი არიან.

მეხუთე მუხლში ნათქვამია, რომ უმაღლეს სასწავლებლის 40 სტიპენდიიდან ქალებს მხოლოდ 5 სტიპენდია მიეცემათო. რისთვის, ბატონებო? თუ მეტი არა, იმდენი სტიპენდია მაინც უნდა მისცემოდათ ქალებს, რამ-

დენიც ვაჟებს: უკანასკნელთა სწავლაზედ თვითონ მშობლებიცა ჰზრუნავენ, ქალები კი სრულიად უყურადღებოდ არიან დატოვებულნი. საშუალო სასწავლებლის 55 სტიპენდიიდან კი საბრალო ქალებისათვის მხოლოდ 15 უწყალობებიათ! თუ უმაღლესი სწავლა არ გემეტებათ მათთვის, საშუალო სწავლა მაინც მიეცით!

შემდეგ: ან ის რაღა საჭირო იყო, რომ სტიპენდიის მიღების მსურველმა მოსწავლემ სწავლისა და ყოფა-ქცევის მოწმობა წარმოდგინოს იმ სასწავლებლის სადაც ის სწავლობსო.

ერთის სიტყვით, ამ წესდებას რომ მივსდიოთ, იმის მეათედს სარგებლობასაც კი ვერ ვნახავთ, რამდენიც შეეძლო მოეცა უმაღლესად ნაბოძებს 20,000 მანეთს.

მაშ, სანამ ჯერ კიდევ არ გათავებულა საქმე, კარგად მოვიფიქროთ და ისეთ საქმეს მოვახმაროთ ეს ფული, რაც უფრო გვეჭირვება და უფრო სასარგებლოცაა.

დონ—ვალიანი

თეატრი

ყვარელი. (კახეთი) თუმცა ერთი კვირაა აქ სწვიმს, რის გამოც სოფლის ორღობებში გავლა მეტად ძნელია, მაგრამ მაინც გვეწვივნენ თელავის სცენის მოყვარენი, რომელთაც გამართეს ქართული წარმოდგენა ერთის ღარიბის სასარგებლოდ. გაიმართა წარმოდგენა თავ. ჭავჭავაძის მარანში. ითამაშეს: „ადვოკატი მელაძე“ და „ადამ და ევა“. მონაწილეობას იღებდნენ: ქ. ე—ნისა; ბატონნი აჯიაშვილოვი, ჭელიძე, ყიფიანი, მათიკაშვილი და სხვანი. ავდარი იყო, მაგრამ საზოგადოება მაინც საკმაოდ დაესწრო. თვით წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! გიგზავნით 21 მან. და 15 კაპ.. შეკრებილს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოხელეთა შორის ვლადიმერ ჩაჩიას მიერ და უმორჩილესად გთხოვთ ესე მცირედი ჩვენი წვლილი გადასცეთ „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობას განსვენებულ დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

ამხანაგ. მონდობილობით **მათე იანქოშვილი.**

II

უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ რედაქციას მცირე ადგილი დაუთმოს ამ მცირე წერილს. მე მესმის აქეთ-იქიდან, განუზრახავთ და თითქო სისრულეშიაც მოჰყავთ, რომ ქართული გალობა (ქართულ კახური კილოთი) ვითომ ერთის და ორის ხმით უნდა გამოსცენო „მწუხრი“ და „ცისკარი“. ან არა-და „საგალობელთა კრებულით“ სკოლებში სახმარებლად, და ნაჩვენები იქნება ავტორის შრომაო, საიდანაც ამოღებული იქმნებაო. მე ამ გვარს შრომას, შემდეგ „მწუხრისა“ და ცისკრის დაბეჭდვისა ჩემ მიერ ვცნობ შრომის მითვისებად, ვისგანაც უნდა იყო დაბეჭდილი და ვისი ბრძანებითაც უნდა იყოს გამოცემულ-დაბეჭდილი ჩემ დაუკითხავად. მე ამას არ დავთმობ და კანონით მოვითხოვ შებღალულ უფლების აღდგენას.

მღვდელი ვასილ კარბელაშვილი.

ვსთხოვ რუსულ-ქართულ გაზეთების რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი თავიანთ გაზეთებში.

ვ. კ.

III

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს გაზეთში მოათავსოთ ანგარიში სოფ. კასპში ჩემ მიერ საქველ-მოქმედო აზრით გამრთულ წარმოდგენისა.

ბილეთების გაყიდვიდან, ვახშმიდან და ბუფეტიდან მცირეოდენი შემოწირულებით შემოვიდა 149 მანეთი, დაიხარჯა სცენის მოწყობასა და სხვა საჭიროებაზე 80 მანეთი, დარჩა 69 მანეთი, რომელიც, აღთქმისამებრ, გადაეცა სტუდენტს ვ. დ. კ.

მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, რომელთაც ხელი შემიწყეს წარმოდგენის გამართვაში და თავიანთი შრომა არ დაზოგეს საკეთილო საქმისათვის.

ა. შ. კარგარეთელისა

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 აგვისტო

კოპენჰაგენი. 29 აგვისტოს ბერნსტორფის სასახლეში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი იმპერატორი ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად. დაესწრნო რუსეთის ქვრივი დედოფალი.

კურსკი. 30 აგვისტოს, 9 საათზე, ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრესა და დიდ მთავრებთან ერთად სადგურ რიშკოვოდან წაბრძანდა სოფელ დიაკონოვოს გამართულ ბაქანთან. იქ ადგილობრივ სკოლის ბავშვებმა იმღერეს ჰიმნი „სლავსია“. თავად-აზნაურთა, ერობათა და გლეხთა დეპუტაციებისაგან პურ-მარილის მიღების შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა სოფელ კოლპაკოვოში, და იქიდამ ცხენით ჩრდილოეთ ჯარისაკენ. ხელმწიფე მიესალმა ჯარს, შემდეგ წ. ბრძანდა სამხრეთ-ჯარისაკენ, რომლის მეათე კორპუსი გაშლილიყო ბობრიკისა და რადუშინის მდინარეებს შუა. იქითვე მიდიოდა სათადარიგო ჯარი.

ამავე მდინარეებს შუა გორაკზედ შეიკრიბა მეათე საკავალერიო დივიზია და ყაზახთა დივიზიის ნაწილი. სამხრეთ ჯარის უფროსმა, სამხედრო მინისტრმა კუროპატკინმა, გადასწყვიტა რა იერიშის მიტანა, გააძლიერა თავისი არტილერია. როდესაც ქვეითა ჯარი საერიშოდ გაემართა, მეათე საკავალერიო დივიზია ორჯელ ზედი-ზედ მიესია მოწინააღმდეგეს, რამაც ჩრდილოეთის ჯარი შეაჩერა, თუმცა წყალზე გადასასვლელები დაეჭირა ამ ჯარს რომელსაც უფროსობს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. სამხრეთის ჯარმა, შეაჩერა რა ჩრდილოეთისა, მოსაშველებელ ჯარის მოლოდინში უკან დაიწია. ამის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა კოლპაკოვოში, საიდანაც ეტლით ივანინოს სადგურისაკენ გაემართა, ხოლო იქიდან რკინის გზით რიშკოვოში, სადაც ნაშუადღევის ხუთ საათზე დაბრუნდა.

ყაზანი. დაიწყო ცხენების გამოფენა, გამართული ყაზანის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მიერ.

1 სექტემბერი

კურსკი. შინაგან საქმეთა მინისტრი მივიდა დღეს საგუბერნიო ერობის მმართველობის სადგომში და მიიღო საგუბერნიო ერობის გამგეობის თავჯდომარე და წევრები, აგრეთვე სამაზრო გამგეობათა თავჯდომარენი, რომელთანაც დიდ ხანს ისაუბრა. შემდეგ მინისტრი წავიდა სადგურ რიჟკოვოზე.

მოსკოვი. საკომერციო სწავლის საზოგადოებას ნება მიეცა აიღოს უპროცენტო სესხი 100 ათას მანათისა საკომერციო სასწავლებლის შენობის დასამთავრებლად.

ვინნიცა. დღეს გაიხსნა სამეურნეო—სამრეწველო გამოფენა.

ტულონი. რუსეთის კრეისერმა „ბაიანმა“ გამართა საცდელი სროლა; გამოცდას კარგი შედეგი მოჰყვა.

ათინა. აქ ჩამოსულ 20 ბოლგარელთ პოლიციამ უბრძანა ქალაქი დასტოვონ, რადგან უწესოების მოხდენის შიში არისო.

მინუსინსკი. 30 აგვისტოს მოვიდა გენერალ—გუბერნატორი გენ.-ლეიტ. პანტელეევი; მან დაიარა ენისეის გუბერნიის მაზრები, რომელნიც მოუსავლობამ დააზარალა. წრევანდელი მოსავალი გვარიანია.

პემბერნი, სამკურნალო სეზონი გათავდა.

კურსკი. აქ ჩამოვიდნენ ჩერნიგოვის, ორიოლის, ხარკოვის, ვორონეჟისა და პოლტავის გუბერნატორები.

კურსკი. 30 აგვისტოს, საღამოს, სამხრეთ ნაწილის ჯარს მიმშველი რაზმები მოუვიდათ. ამ ჯარის სარდალმა გენერალმა კუროპატკინმა გადასწყვიტა ხელში ჩაიგდოს მდ. რეუტის გზა. მოსკოვის ჯარმა დაიწყო კურსკისაკენ დაწევა. ხელმწიფე იმპერატორი დილის 9 საათზე რკინის გზით წავიდა სადგურ ივანინოზე; იქედან ეტლით გაემგზავრა რეუტის გზით და მიბრძანდა სოფელ კოლპაკოვის, სადაც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე მიეგება. შემდეგ ხელმწიფე მიბრძანდა სოფელ მალცევოს და იქ, მაღლობ ადგილიდან, თვალს ადევნებ სამხრეთ ნაწილის ჯარის მოახლოვებასა და მსროლელთა მე-4 ბრიგადის მდინარეზე გადასვლას. ხელმწიფე იმპერატორის თვალწინ მოხდა ბრძოლა მსროლელთა მე-4 ბრიგადისა და მე-36 ქვეითა დივიზიის შუა. მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა მოპირდაპირეთა ერთმანეთთან მიახლოვება და და იერიში. ბრძოლის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ჯარები. ხელმწიფეს თან ახლდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრები დაბრუნდნენ სადგურ რიაშკოვოზე.

ლოძი. საფაბრიკო ქალაქ ზგერჟში წასრული სეზონი კარგად გათავდა; თითქმის ყველა დამზადებული ნაწარმოები გასაღდა; მომავალი სეზონიც, ალბათ, კარგი იქნება. ზოგიერთ მეფაბრიკეთ სამუშაო დრო მოუმატებიათ.

აიაჩიო. ზღვათა მინისტრმა პელტანმა ნადიმზე წარმოსთქვა სიტყვა, რომლით აღნიშნა, რომ კორსიკა აერთებს საფრანგეთის სამფლობელოს ამერიკაში და მეტროპოლიას; კორსიკის ნაპირი პირდაპირ იტალიისკენ არის მიმართულიო; ხმელთაშუა ზღვას საფრანგეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვსო. ყველა ამის მიზეზით, კორსიკა გამაგრებულ უნდა იქნას, მაგრამ ამის განხორციელება მხოლოდ თან-და-თან შეიძლება შევიწროებულ ფინანსიურ მდგომარეობის გამოო.

პეტერბურგის ბირჟა 1 სექტემბერს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05
ბერლინზე 100 მარკაში	$46,02^1/_2$
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,75
ბერლინზე „	46,25
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 „
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	358 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	295 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$87^3/_8$ „
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89^5/_8$ „
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	179 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. დ 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.)

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ ხუთშაბათობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1) ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ.(ს.28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დამი-10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) დამის 12 ს. 30 წ (1 ს. 28 წ.); 2) დამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) დამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა-სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოდ. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბაროხისა, ტიზენკაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი კოლდლიუსტისა.

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
დედა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცვენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ლექსები

განდეგილისა

ავტორის სურათით,

ფასი ათი შაური,

იყიდება: ტფილისში „წერა-კითხ. გამ. საზოგ.“ წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—15)

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 1 Сентября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).